MOSKVA 1966

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 131 (3108)

9 1966 წ. ივლისი. ორშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

პამოცემის 22-ე წელი


ერთიანი ბიბლიოთეკა

## „ოქრო“ და „ბრინჯაო“

მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი გორკელმა რაპირისტმა გ. სვეშნიკოვმა. 7 ივლისს 4 ათასი მოსკოველი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მუშაკტერს.

29 წლის არმიელმა სპორტსმენმა რკინისებური ნებისყოფა გამოავლინა, სატურნირო ბრძოლის ყველაზე ცხარე მომენტებში იგი ერთადერთი ინარჩუნებდა საოცარ სიმშვიდეს, არ ეკამათებოდა მსაჯებს მაშინაც კი, როცა ისინი აშკარად ცდებოდნენ. სვეშნიკოვს უბრალოდ, — მიაჩნდა, რომ რაპირა მაინც უფრო ზუსტად განსჯის და ნიღაბაფარებულს კელავ მიჰქონდა იერიში

იგი თავისი თავის ერთგული, აუღელვებელი დარჩა საოცრად დრამატულ და რაინდულ ორთაბრძოლაში ფრანგ ჟ. მანიანთანაც. ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ჩემპიონობის ბედი.



ფრანგი დაწინაურდა — 3.1. „მას შემდეგ, რაც ანგარიში გათანაბრდა — 3:3, ვიგრძენი, რომ მანიანი ღელავდა და ეს ამბავი გამოვიყენე“, — თქვა ბრძოლის დამთავრების შემდეგ სვეშნიკოვმა.

შეხვედრის საბოლოო შედეგია 5:4, მაგრამ არითმეტიკას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია გადმოსცეს ორთაბრძოლის სული. მრავალი გულშემატკივარი, რომელმაც ამ ბრძოლას უყურა, „დაავადდა“ ფარიკაობით—მისი სილამაზითა და დინამიურობით.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მანიანი ამჯერად „ვერცხლს“ დასჯერდა. ასეთია სპორტული კანონი — უძლიერესმაც კი უნდა დაუთმოს უფრო ძლიერსა და ღირსეულს.

საბჭოთა გუნდის მეორე იუბილარი კიეველი, 24 წლის ვ. პუტიატინი იყო. შარშან იგი IV ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონატში, ამჯერად კი ერთი საფეხურით აიწია და „ბრინჯაოს“ დაეუფლა. თავისი პირველი საერთაშორისო პრიზი მან უძღვნა ვაჟს, რომელიც ჯერ 2 თვისაც არ არის.

„ოქრო“ და „ბრინჯაო“ — კარგი დასაწყისია. კარგია, თუ სვეშნიკოვსა და პუტიატინს დანარჩენი საბჭოთა მოფარიკაველებიც აუბამენ მხარს.

* * *

სურათზე: გ. სვეშნიკოვი.

საკადრის ფოტოქრონიკა.

## „პახტაკორი“ ქვლავ დაუმარცხებელია

ქუთაისი ცენტრალური სტადიონი. 8 ივლისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 1:1 (0:0).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ზარია, ვეკუა, ჩხარტიშვილი (ლ. ნოდია), ხაფალია, გ. ნოდია.

„პახტაკორი“: პშენიჩნიკოვი, ზაკიროვი, შტერნი, შარიპოვი, სუიუნოვი, მუხინი, ნაუმენკო, ტაჯიროვი, რახმატულაევი, კრასნიცკი, იბრაჰიმოვი (აბდურაიმოვი).

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

„პახტაკორი“ ახლა რთულ ამოცანას წარმოადგენს უმაღლესი ლიგის ყველა გუნდისთვის, სულ ერთია, საკუთარ მოედანზე იქნება ეს, თუ მოწინააღმდეგისაზე. ტაშკენტელები ლიდერთა შორის არიან და დღემდე არ იციან რა არის დამარცხება.

ამ გუნდს დიდი ინტერესით მოელოდნენ ქუთაისელი მაყურებლები და, უნდა ითქვას, მათი მოლოდინი მთლიანად გამართლდა. მატჩი მეტად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში ჩატარდა.

ტემპი დასაწყისიდანვე უკიდურესად მაღალი იყო. ჯერ კიდევ მე-3 წუთი მიმდინარეობდა, როცა კვასხვაძეს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა რახმატულაევისაგან, სულ ცოტა ხანს შემდეგ კი „პახტაკორის“ მეკარე პშენიჩნიკოვს დაჭირდა თავისი ოსტატობის ჩვენება. ორმხრივი იერიშები ორივე კარზე განუწყვეტლივ გრძელდებოდა, მაგრამ ტაიმის შუაგულისთვის თანდათან შეესამჩნევი შეიქნა ტორპედოელთა უპირატესობა. ისინი უფრო სწრაფად, ენერგიულად მოქმედებდნენ და რომ თავდამსხმელებს მეტი სიზუსტე გამოეჩინათ შეტევის დამთავრებისას, „პახტაკორი“ პირველ ტაიმშივე ვერ გადაურჩებოდა გოლს.

განსაკუთრებით სახიფათო იყო სტუმრების კართან შექმნილი მომენტი 23-ე წუთზე. ვეკუამ კუტივაძისგან მიიღო საუკეთესო გადაცემა და ძლიერად დაარტყა. პშენიჩნიკოვმა იხსნა გუნდი. 3 წუთის შემდეგ გამეორდა იგივე კომბინაცია: კუტივაძე — ვეკუა და კარი ამჯერად გადაარჩინა ფორვარდის არაზუსტმა დარტყმამ.

ასეთივე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, თუმცა მოქანცულობა საგრძნობლად დაეტყოთ როგორც „ტორპედოს“, ისე „პახტაკორის“ მოთამაშეებს. ეტყობა, ტაშკენტელები წინააღმდეგი არ იყვნენ აეღოთ 1 ქულა და დაუმარცხებლად დაეტოვებინათ მინდორი, ვინაიდან მათ მასირებული დაცვა აღმართეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ინიციატივა ტორპედოელებს ჰქონდათ, გოლი კი მოწინააღმდეგემ გაიტანა. მე-80 წუთზე კრასნიცკიმ კარგად გამოიყენა თავისი გუნდის მოულოდნელი კონტრშეტევა და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0.

დარჩენილი იყო 9 წუთი და ამ მცირე დროს მაქსიმალურად ჭირდებოდა გამოყენება. „ტორპედო“ გადავიდა გადამწყვეტ შტურმზე. პახტაკორელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო 30 მეტრის მანძილიდან. კუტივაძემ შესანიშნავად შეასრულა დარტყმა და კარის მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. მეკარე უძლური აღმოჩნდა მის ასაღებად — 1:1.

შ. ნიშარაძე.
(ჩვენი კორ.).

## „ა“ კლასი I ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ს. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 9 | 5 | 0 | 29—4 | 23 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 14 | 8 | 4 | 2 | 21—10 | 20 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 15 | 5 | 10 | 0 | 17—11 | 20 |
| ასკ (როსტოვი) | 14 | 9 | 1 | 4 | 27—21 | 19 |
| ცსკა | 15 | 6 | 6 | 3 | 28—20 | 18 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 22—15 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 15 | 6 | 5 | 4 | 17—10 | 17 |
| „პაირატი“ (ალმა-ათა) | 15 | 7 | 2 | 6 | 16—18 | 16 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაკო) | 15 | 5 | 5 | 5 | 20—13 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 3 | 6 | 22—18 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 16 | 6 | 3 | 7 | 23—27 | 15 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 15 | 6 | 2 | 7 | 20—25 | 14 |
| „არარატი“ (ერევანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 14—22 | 14 |
| „დინამო“ (მინსკი) | 15 | 4 | 5 | 6 | 14—20 | 13 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 15 | 3 | 6 | 6 | 13—17 | 12 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 15 | 4 | 3 | 8 | 14—21 | 11 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 2 | 6 | 7 | 11—24 | 10 |
| ასკ (ოდესა) | 14 | 1 | 4 | 9 | 7—21 | 6 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 14 | 2 | 1 | 11 | 11—26 | 5 |

„არარატი“ — „ნეფტიანიკი“ 2:0.
„შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.
ცსკა — „დინამო“ (კიევი) 0:0.
„კრ. სოვეტოვი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:0.

## „ა“ კლასი II ჯგუფი

გუშინ ყაზანში გაიმართა მატჩი „ა“ კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფში. ადგილობრივმა „რუბინმა“ და თბილისის „ლოკომოტივმა“ ითამაშეს ფრედ—1:1.

როსტოვის „როსტსელმაში“ და ბაკოს „დინამო“ ითამაშებენ ხვალ.

## ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივლისისათვის

## წარუმატებლობა ოდესაში

ოდესა. „ჩერნომორეცის“ სტადიონი. 8 ივლისი.

„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0).

„ჩერნომორეცი“: იარჩუკი, ცუნინი, ნაიდა, არხიპენკო, სიროშინტინოვი, მოსკალენკო, დერიაბინი, ბაზილევიჩი, ბოკატოვი, ლობანოვსკი, საკი.

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:1.

ჩემპიონატის სტარტზე განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ თბილისის „დინამომ“ შეძლო გამოესწორებინა თამაში და მასთან ერთად — სატურნირო მდგომარეობაც. გუნდმა კარგად ჩაატარა მატჩების სერია და მიაღწია V ადგილს. აქ რამდენიმე ძლიერმა გუნდმა მოიყარა თავი და კონკურენციას მათ შორის ერთობ მწვავე ხასიათი მიეცა. საკმარისია მცირე შეფერხება და მეტოქეებს გზა ეხსნებათ დასაწინაურებლად.

აი, ასეთი შეფერხება განიცადეს გუშინ ოდესაში თბილისის დინამოელებმა. დასაწყისში მათ ძლიერი იერიშები მიჰქონდათ „ჩერნომორეცის“ კარზე, სადაც ზედიზედ შეიქმნა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი. ბარქაიას, იამანიძეს, დათუნაშვილს შეეძლოთ ანგარიშის გასნა, მაგრამ არც ერთი მომენტი არ იქნა გამოყენებული, რამაც ოდესელებს საშუალება მისცა ჯერ გამოესწორებინათ თამაში, შემდეგ კი თვით აეღოთ ხელთ საერთო ინიციატივა. დინამოელთა კართან მოწოდებულ იქნა რამდენიმე კუთხური, მეკარე ურუშაძეს მოუხდა უაღრესად ძნელი ბურთების აღება, ერთხელ კი საკის დარტყმის შემდეგ თბილისელთა კარი ძელმა გადაარჩინა გოლს.

38-ე წუთზე იმავე საკმა ცენტრში მიაწოდა ბურთი და მოსკალენკომ ძნელი მდგომარეობიდან გაუზავნა იგი მეტოქის კარში — 1:0.

მეორე ტაიმში ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. თბილისელები სწირად უტევდნენ, მაგრამ „ჩერნომორეცი“ კარგად იცავდა თავს და კონტრიერიშებსაც უნარიანად აწარმოებდა.

საბოლოოდ, „ჩერნომორეცმა“ შეძლო ამ მინიმალური უპირატესობის შენარჩუნება და თავის სასარგებლოდ დამთავრა მატჩი.

ამას წინათ ოდესაში გამართულ ზნამენსკების მემორიალზე მძლეოსნებმა რამდენიმე საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენეს. მათი ავტორები მარტო მასპინძლები კი არა, სტუმრების წარმომადგენლებიც იყვნენ.

ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ ასპარეზობაში კარგად გამოვიდა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი და რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ქალთა შუბის ტყორცნაში ე. ოზოლინა. მან 57,70 მეტრი აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა.

სსრ კავშირის ათლეტთა შორის უველაზე კარგი შედეგი ისევ გ. ბლიზნეცოვმა მოიპოვა. ჭოკით ხტომაში მან სსრ კავშირის ახალი რეკორდი (514 სმ) დაამყარა.

ვალში არც სტუმრები დარჩნენ. მათი დიდი გამარჯვება იყო ის, რომ მემორიალის ყველა 3 მთავარი პრიზი დაისაკუთრეს. ერთ-ერთს — 10.000 მ რბენაში გამარჯვებისთვის ბელგიელი სტაიერი გ. რულანტსი დაეპატრონა.

* * *

სურათებზე: ზევით—ე. ოზოლინა. შუაში — გ. რულანტსი ფინიშთან. მეორეა ს. ბაიდიუკი (სსრ კავშირი). ქვევით — ჭოკით მხტომელი ვ. ნორდვიკი (გდრ) გამარჯვებასა და სსრ კავშირის რეკორდის დამყარებას ულოცავს გ. ბლიზნეცოვს (მარცხნივ).

ფოტო ვ. შანდრინისა და ვ. უნ და-სინისა

(საკადრისი).



## ფიფა-ს კონგრესი

ლონდონი, 8 ივლისი. აქ გაიხსნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის XXXV კონგრესი, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი გ. ვილსონი.

კონგრესმა განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ფიფა-ს პრეზიდენტად კვლავ არჩეულია 72 წლის სტენლი როუზი.

(კონგრესის მუშაობის შესახებ ანგარიში გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

## ...ჩვენ ვიცოდეთ! საკითხ!

◆ მოსკოვი, 8 ივლისი. აქ მიმდინარე მოფარიკაველთა მსოფლიო ჩემპიონატზე დამთავრდა ესპადრონიტტა შეჯიბრება. მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პოლონელმა ე. პავლოვსკიმ.

◆ ბერსკოლი, 8 ივლისი. ზღვის დონიდან 3.000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დათვის ველზე პირველად სსრ კავშირში გაიმართა სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც გამოდიან გდრ-ის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. პროგრამაშია სლალომი და გიგანტური სლალომი. სლალომში პირველი იყო მოსკოველი ნ. მერკულოვა. მომდევნო ადგილებზე არიან ი. კარაპუზოვა (ლენინგრადი) და ა. კონიავა (მოსკოვის ოლქი). საზღვარგარეთელი სტუმრები შეჯიბრების პირველ დღეს არ გამოდიოდნენ.

# მიბაძეთ: სპორტული ოჯახები!

საქართველო ბიბლიოთეკა

## შავი ხელთათმანები

ლენინგრადი. 1938 წელი. სსრ კავშირის პირადი პირველობა კრივში. დიქტორმა რინგზე გამოიძახა ჩვენი ქვეყნის შვიდგზის აბსოლუტური ჩემპიონი ნიკოლოზ კოროლიოვი და ახალგაზრდა სპორტსმენი ლევან ღუდუშაური. კრივის მოყვარულთათვის ღუდუშაურის გვარი სრულიად უცნობი იყო, კოროლიოვის სახელი კი იმ ხანებში ჰქუხდა. ვისაც ერთხელ მაინც განუცდია ან უნახავს, არასდროს დავიწყდება მისი სწრაფი, გააზრებული და უძლიერესი დარტყმა.

— აბა, ღუდუშაურმა კოროლიოვთან რა უნდა გააწყოს, — ამბობდნენ ერთნი.

— ვნახოთ, — იმედს არ კარგავდნენ მეორენი.

— გამაგრდი! — უთხრა მწვრთნელმა ლევანს და ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

... შეხვედრის დაწყებამდე ლევანი ცოტა ღელავდა, რინგზე კი თითქოს სასწაული მოხდა, მღელვარება უცებ გაქრა. მაყურებლის შეგრძნება, გამაღიზიანებელი შეძახილები ახალგაზრდა მოკრივეზე უკვე აღარ მოქმედებდა. შის წინ მხოლოდ მეტოქის მძიმე ხელთათმანებით შეჯავშნული ხელები იყო.

...მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: ჩემპიონმა წამით მოადუნა ყურადღება, ლევანი თითქოს ამას ელოდა, მძლავრად მოიქნია ხელი და... კოროლიოვი ფიცარნაგზე ჩაიკეცა.

ეს ნამდვილი სენსაცია იყო. დარბაზში ერთ ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ „მყუდროება“ დიდხანს არ გაგრძელებულა. კოროლიოვმა წონასწორობა მალე აღიდგინა და ამას დარბაზის უეცარი ამოსუნთქვაც მოჰყვა. ჩემპიონი მიხვდა, რომ ღუდუშაურთან „შენობით“ ლაპარაკი სახიფათო იყო და ახლა ფრთხილი შეტევა წამოიწყო. ლევანი დამარცხდა, მაგრამ კრივის „მეფემ“ განაცხადა, ღუდუშაური ძლიერი მოკრივეაო.

... ლევანის სპორტული გზა უბრალოდ დაიწყო.

ბავშვობა სოფელ სნოში გაატარა. უყვარდა ფეხბურთი, ტოლებთან ჭიდაობა, თერგის ტალღებსაც შებმია... ხშირად წიგნს ჩაკირკიტებდა, კითხულობდა ვეფას, ყაზბეგს. გატაცებული იყო იოსებ გრიშაშვილის ლირიკით.

მერე თბილისი. ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. ბორის პაიჭაძესთან, იური კასრაძესთან, არჩილ კიკნაძესთან, გაიოზ ჯელავასთან, ვლადიმერ ჯორბენაძესთან და სხვებთან ერთად თამაშობდა ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდში.

ერთ დღეს ლევანი კრივში ვარჯიშს დაესწრო. თვალებგაფართოებული შესცქეროდა მომეცადინეებს, ერთი სული ჰქონდა ხელთათმანები მოერგო და თავად ეცადა ძალა. მწვრთნელმა გ. ჯასპარიანმაც დაადგა თვალი ჩასკვნილ ახალგაზრდას.

— მოგწონს?

— ძალიან, — უპასუხა ღუდუშაურმა.

იმავე დღეს ჩააცვეს ტყავის ხელთათმანები. გატაცებით შეუდგა ვარჯიშს.

ღუდუშაური, როგორც მოკრივე, საბოლოოდ მწვრთნელ ა. გოლდშტეინთან ჩამოყალიბდა. შემდეგ წარმატებები... წარმატებები... 1938 წელს იგი საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოკრივეთა ხუთეულში შევიდა.

— კრივი თავისებური ჭადრაკია, — ამბობს ლევანი. — თუ აზრი და გონება არ დაატანე, გამარჯვება შეუძლებელია.

გამარჯვებები ლევანისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ მთავარი მაინც წინ იყო — მეორე შეხვედრა ნიკოლოზ კოროლიოვთან. 1943 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ პირველობაზე ისინი კვლავ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ. ლევანი ამჯერადაც დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო.

1945 წელს ღუდუშაური საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში ესტონელ ბერჰარტს შეხვდა და ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის

უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა. „ღუდუშაური ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივეა. საგულისხმოა მისი სისწრაფე და საოცრად ძლიერი დარტყმები“, — წერდა „სოვეტსკი სპორტი“.

გადიოდა წლები. ლევანი ხანში შევიდა, მაგრამ რინგს თავს არ ანებებდა. უკანასკნელად მან 1948 წელს, ერევანში ამიერკავკასიის მორიგ ტრადიციულ სპარტაკიადაში გამოცადა ძალა. მაშინ ლევანი საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონს, აზერბაიჯანელ ნიკოლოზ აშუმოვს შეხვდა და გაიმარჯვა. ერთ-ერთ ბიულეტენში წერდნენ: „ასაკის მიუხედავად (ლევანი 36 წლის იყო) ღუდუშაური რინგზე ჭაბუკივით მოძრაობდა და უძლიერეს დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგეს“.

• • •

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ლევანმა ორმოცდაათს გადაბიჯა. იგი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელია, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს კრივის ფედერაციის წევრი. სპორტის დამსახურებული ოსტატი კარგი პედაგოგიცაა და დიდი წვლილი მიუძღვის მომავალი თაობის აღზრდაში. წლების მანძილზე იგი თბილისის სკოლა-ინტერნატის დირექტორი იყო.

ღუდუშაურების გვარს სპორტი ტრადიციად მოსდგამს. ლევანის ძმისშვილი მერაბი ცნობილი მოჭიდავე იყო, — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მერაბის ძმა — ელგუჯა ჭაბუკებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და დღესაც ღირსეულად აგრძელებს დაწყებულ საქმეს. ლევანის ქალიშვილი — ლიანა მოსწავლეთა შორის 1957 წლის ჩემპიონია კალათბურთში.

ლევანმა კი იმ სკოლაში, რომლის დირექტორიც ამჟამად არის, კრივის ჯგუფი ჩამოაყალიბა და უშუალოდ ხელმძღვანელობს მას.

— ნიჭიერი ბიჭები არიან, — ამბობს სახელოვანი ვეტერანი.

თ. კოკალეიშვილი.

• • •

სურათზე: ღუდუშაურების ოჯახი. სხედან — მერაბი, ლევანი და ლიანა, დგას ელგუჯა.

## საბი ძმა

*ძმებმა — ალექსანდრე, ჰამლეტ და ვლადიმერ იაშვილებმა მომავალი შრომის სარბიელად მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა აირჩიეს.*

*ალექსანდრემ წლეულს წარმატებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. იგი 4 წლის განმავლობაში უდგა სათავეში სტუდენტ კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს. ჰამლეტი ამავე ინსტიტუტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტია. იგი სპორტის ოსტატი და რესპუბლიკის მრავალი პირველობის პრიზიორია თავისუფალ ჭიდაობაში. ვლადიმერი კი ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში სწავლობს და ჭიდაობაში ოსტატდება.*

*ძმები მამის ჯალზე წავიდნენ. — ვლადიმერ იაშვილი ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მუშაობს სოფელ ოჯოლის (ტყიბულის რაიონი) საშუალო სკოლაში.*

ჟ. ბაშელი.

* * *

სურათზე: ალექსანდრე, ჰამლეტ და ვლადიმერ იაშვილები.

ფოტო ავტორისა.

## ჩემპიონები

**ლენინგრადი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** აქ დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი საავტომობილო სპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების საუკეთესო კოლექტივები. ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს ავტომობილისტები. გუნდმა, რომელიც ძირითადად მსუბუქი ტაქსების მეორე კანტორის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, II ადგილი მოიპოვა.

პირად პირველობაში საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ თბილისელები: ვ. გლურჯიძე და მ. ლოგინოვი. მათი თანაგუნდელი შ. მამრიკიშვილი III ადგილზე გავიდა.

ჩემპიონატის შემდეგ შედგა ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც სამივე თბილისელი სპორტსმენი შევიდა. ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნულია საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ბ. შულცი.

## ოთხთა ტურნირი გათუმში

**ბათუმი, 8 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).** აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის 4 გუნდის ტურნირი წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უკრაინის, ლენინგრადის, საქართველოს ნაკრები კოლექტივები და მოსკოვის „ტრუდი“. ასპარეზობა გაიხსნა უკრაინისა და ლენინგრადის წყალბურთელთა მატჩით, რომლის პირველ პერიოდს შედეგი არ მოჰყოლია. II პერიოდში უკრაინელთა ერთ-ერთი შეტევა პონომარენკომ გოლით დააგვირგვინა, მაგრამ ერთი წუთის მერე დანილოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. III პერიოდში დაწინაურდნენ ლენინგრადელები (გოლი გაიტანა კოტკოვმა). პერიოდის დამთავრებამდე სნადკინმა წონასწორობა ისევ აღადგინა — 2:2. IV პერიოდში უკრაინელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს, რასაც ლენინგრადელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. გაიმარჯვეს უკრაინის წყალბურთელებმა —4:3.

დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოსა და მოსკოვის „ტრუდის“ წყალბურთელთა შეხვედრამ. მეტოქეებმა დასაწყისი დაზვერვას მოანდომეს და ამიტომაც შესვენებაზე „მშრალნი“ წავიდნენ. II პერიოდში ანგარიში გახსნა თორთლაძემ, ხოლო მერე წიკლაურმა მეორე გოლიც გაიტანა. ამას მოჰყვა მოსკოველთა საპასუხო იერიში და პოლიაკოვმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო. III პერიოდში გიორგაძის, ხოლო მეოთხეში — მიმინოშვილისა და მეგედის მიერ გატანილმა ბურთებმა გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს მოუტანა — 5:1.

ო. მურვანიძე.

**წყალბურთი**

ივნისი სხვადასხვა უწყებაში შემავალი ტექნიკუმების სპარტაკიადების თვე იყო. და აი, ამ დიდ ასპარეზობებში გამარჯვებულმა გუნდებმა ძალები საქართველოს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სპარტაკიადის ფინალშიც გამოსცადეს.

## კვლავ პოლიტექნიკოსები

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ათლეტებმა წლევანდელ სეზონში ერთხელ უკვე მიაღწიეს მნიშვნელოვან გამარჯვებას ქართულ ჭიდაობაში სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე. ახლაც მათ ნაკლები წარმატება როდი მოიპოვეს, — თბილისის ინდუსტრიული, კოოპერაციული და გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების გუნდები დაამარცხეს და კვლავ ჩემპიონები გახდნენ.

## მეორე პრიზიორი... მევიოლინე

სპორტული ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა დასასრულს უახლოვდებოდა. რამდენიმე გოგონამ დაამთავრა თავისუფალი ვარჯიში, რამდენიმეჯერ გამეორდა ერთიდაიგივე მუსიკა. და აი, ხალიჩაზე სუსტი აღნაგობის გოგონა გამოვიდა. გამოვიდა და ერთბაშად მიიპყრო ყურადღება ლამაზი, სუფთა ვარჯიშით. მაყურებელმა ტაშით გააცილა ახალგაზრდა სპორტსმენი. სამმა მსაჯმა მას საკმაოდ დიდი შეფასება — 9 ქულა მისცა. როცა ყველა ვარჯიშში ნაჩვენები ქულები დაჯამდა, ამ გოგონას — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის პირველკურსელ ლ. ლაქტიონოვას, სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეებში II ადგილი მიეკუთვნა. 15 წლის სტუდენტი, მევიოლინე (ლაქტიონოვამ მუსიკალური შვიდწლედი დაამთავრა) უზომოდ გატაცებულია სპორტული ტანვარჯიშით, მის წარმატებას კი მტკიცე სასიათი და დაოსტატებისკენ დიდი სწრაფვა განაპირობებს. I ადგილი მოიპოვა უფრო გამოცდილმა, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენელმა ო. მიქაძემ, რომელმაც მეტოქეს 0,15 ქულით გაუსწრო.

პირველთანრიგოსან გოგონებში ყველას აჯობა მიქაძის თანაგუნდელმა მ. კოხრეიძემ, ხოლო მეორეთანრიგოსნებში — თ. ნატროშვილმა (თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი).

ვაჟებში ოსტატთა პროგრამით პირველობისთვის იბრძოდნენ ნ. ჩანტლაძე (თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი) და ე. კაუხჩევი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი). ნ. ჩანტლაძემ (106,75 ქულა) მთელი 4 ქულით აჯობა მეტოქეს. პირველთანრიგოსნებიდან ამ ასპარეზობაში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი (?!) — ზ. ბედიაშვილი (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), რომელმაც 105,35 ქულა დააგროვა. მეორეთანრიგოსნებში ყველა ჩამოიტოვა ინდუსტრიული ტექნიკუმის წარმომადგენელმა ტ. ფირცხალაიშვილმა (105,05), ხოლო მესამეთანრიგოსნებში — გ. ხუბულურმა (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 52,9.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს და გარდამავალი თასები მოიპოვეს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ჭაბუკებმა და გოგონებმა.

## ფიცარნაგზე — უძლიერესნი

ძალოსნობაში გუნდური პირველობა ქუთაისის სამთო ტექნიკუმის გუნდმა მოიპოვა. გარდა თელაველი ი. ელოშვილისა, რომელმაც ქვემძიმე წონაში 280 კილოგრამი დააგროვა, ქუთაისელებმა I ადგილები დაისაკუთრეს ყველა წონაში. აი, გამარჯვებულთა სიაც (წონითი კატეგორიების მიხედვით): შ. ჯიოევი (182,5 კგ), ბ. ბეკოევი (197,5), უ. მანჯავიძე (237,5), ნ. დოგუზოვი (290), დ. გაბაძე (320), ა. ბეკოევი (290) და ზ. სამხარაძე (295).

## „ოქრო ბიჭი“

ასე ეძახიან ზვიად დარჯანიას. მან წელს წარჩინებით დაამთავრა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა ასპარეზობაში კი რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა. ზვიადმა ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე რბენაში (11,4 და 24,6), ხოლო 4×100-მეტრიან ესტაფეტაში რომ ჯიხაიშელთა გუნდმა გაიმარჯვა, ამაში მისი წვლილიც იყო.

ზვიადის თანაგუნდელმა მ. მანჯგალაძემ გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო 100 მეტრზე რბენაში.

დიდჯიხაიშელებს მაინც თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა აჯობეს: ვ. ტარანი პირველი იყო ბადროს ტყორცნასა (46,80 მ) და ბირთვის კვრაში (13,62 მ), ვ. ოგანესიანი — სიგრძეზე ხტომასა (641 სმ) და სამხტომში (13,95 მ), რ. ჯიოევი — სიმაღლეზე ხტომაში (185 სმ), ო. მარსაგიშვილი — 800 და 1.500 მეტრზე რბენაში (2.10,8 და 4,49,0). მომავალი მანქანათმშენებლების კარგი შედეგების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მათვე დარჩათ საერთო გუნდური I ადგილიც (როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის).

## მეგობარ ჩემპიონთა სამეული

ვ. გამბარინმა, ო. მაქსიმოვმა და ა. კუზნეცოვმა ერთმანეთი 1963 წელს გაიცნეს. მას შემდეგ დამეგობრდნენ, ერთად ვარჯიშობენ და ერთად სწავლობენ (სამივენი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მეორეკურსელები არიან)... და ახლა სამივემ მოიპოვა ჩემპიონობა. გამბარინმა ყველა ჩამოიტოვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვაში (1.09,1 და 1.22,5), კუზნეცოვი პირ-

# უკანასკნელი ინტერვიუ მწვრთნელთან

*სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ინგლისში გამგზავრების წინ ახალი ამბების საგაზეთო კორესპონდენტი ა. მარიამოვი ტელეფონით დაუკავშირდა ჭ. ჰინდოსს (შვეცია) და ესაუბრა ნაკრების უფროს მწვრთნელს ნ. მოროზოვს. მოგვყავს ნაწყვეტი ამ ინტერვიუდან:*

**— როგორ გამოიჩინეს თავი ნაკრების „ახალწვეულებმა“ — კორნეევმა, ოსტროვსკიმ, პარკუიანმა?**

— უნდა გამოგიტყდეთ, ყველაზე უფრო პარკუიანისა გვეეჭვებოდა, მაგრამ სწორედ მან გამოიჩინა თავი ბოლო თამაშებში. იგი გვახარებს არა მარტო კარგი ფიზიკური მომზადებით, რაც მან საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მიიღო საკუთარ კლუბში, პრამედ, და უფრო მეტად, ტემპერამენტით, ენერგიით და გოლის ზუსტი გრძნობით. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისში პარკუიანი არც თუ ისე ხშირად მოცდება სათადარიგო სკამზე.

ოსტროვსკისა და განსაკუთრებით კორნეევის აკლიმატიზაცია ნაკრებში უფრო ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა. მხოლოდ ბოლო მატჩში ვიხილეთ ჭ. ვარბერგის გუნდთან ნამდვილი კორნეევი და ოსტროვსკი. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ამ გამოცდილმა მცველებმა სერიოზულად და დიდი დროით აღიდგინეს თავიანთი საკლუბო ფორმა.

**— გულშემატკივრებს ძალზე აღელვებთ მეტრეველის მიერ მიღებული ტრავმა.**

— შემიძლია ისინი დავამშვიდო. მეტრეველი გამოჯანმრთელების გზაზეა და ორიოდე დღის შემდეგ სრული ძალით შეუდგება ვარჯიშს. მას ოდნავ დაზიანებული ჰქონდა ფეხი **(ამ ინტერვიუს შემდეგ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის სპორტულმა კომენტატორმა ნ. ოზეროვმა გადმოსცა, რომ მეტრეველის ტრავმა გაცილებით უფრო სერიოზულია და მისი მატჩებში მონაწილეობა ნავარაუდევია უფრო მოგვიანებით, რედაქციის შენიშვნა).**

**— დანარჩენები?**

— ოდნავ იავადმყოფა ა. კავაზაშვილმა. ეს პირველი არაა — როგორც გინდა თქვით, კავაზაშვილი სამხრეთელია და სკანდინავიის ყველაზე მზიანი ამინდიც კი მისთვის შეიძლება გრილი გამოდგეს. მაგრამ ანზორის ეს გაციება მახარებს კიდეც: ლონდონისთვის მას უნდა გამოუმუშავდეს იმუნიტეტი.

**— შვეციაში უნდა დამთავრებულიყო ნაკრების დაცვის ხაზის საუკეთესო ვარიანტის ძიება. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ მცველთა ოთხეული მოძებნილია?**

— ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ შესტერნიოვის მხარდამხარ სტოპერად მურთაზ ხურცილავა გამოვა. იგი ახლა საუცხოოდ თამაშობს. გაგიხსნით მცირე საიდუმლოებას: მეორე მატჩის შემდეგ ვესაუბრე შესტერნიოვს, რომელმაც მითხრა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში პირველად იგრძნო თავი დამშვიდებულად და მსუბუქად. მურთაზი შესანიშნავად ხვდებოდა ჩვენი გუნდის კაპიტნის ყველა მანევრს, საიმედოდ ეხმარებოდა განაპირა მცველებს და იგერიებდა სახიფათო ბურთებს საჯარიმო მოედანზე. ამას ჩვენც კარგად ვხედავდით ტრიბუნიდან.

ამრიგად, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი.

**— ე. ი. სხვები კანდიდატებად რჩებიან?**

— თქვენ მთხოვეთ დამესახელებინა ოთხეული, მე დავასახელე იგი. დავუმატებ მხოლოდ, რომ ინგლისში ფეხბურთელთაგან არავინ მიემზადება ტურისტად.

**— როგორაა ვორონინი?**

— რა მოგვიდათ, თითქოს პირი შეკკარით: ყველანი გაიძახით — ვორონინი და ვორონინი. საკმარისი იყო მას ორიოდე თამაში ცუდად ეთამაშა და პრესამ განგაში ატეხა. დღეს ცუდს ვერაფერს ვიტყვი ჩვენს საუკეთესო ჰავბეკზე. იგი თამაშობს ისე, როგორც ეს ვორონინს ეკადრება.

აქვე მინდა ვთქვა იაშინზეც. გასაოცარია, მაგრამ სწორედ მისი ფორმა აწუხებს ბევრს.

**— არცაა გასაკვირი: იაშინი 37 წლისაა...**

— იაშინი უწინდებურად ჩვენი გუნდის სული და გულია. ჰინდოსში მას ყველა იცნობს და ახსოვთ 1958 წლიდან. ბიჭები გროვად დასდევენ მას საწვრთნელ ვარჯიშებზეც და თვეზის ბერის დროსაც. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ იაშინი ახლა გაცილებით მეტ თვეზს იბერს, ვიდრე 8 წლის წინ. როგორც თვითონ ამბობს, ეს კარგის მომასწავებელია.

**— წავიკითხეთ, რომ საბჭოთა ნაკრები სრული შემადგენლობით დაესწრო შვეციისა და ბრაზილიის გუნდების მატჩს გეტებორგში. როგორ მოგეწონათ ბრაზილიელები?**

— სიამოვნებით მინდოდა მეთქვა: არა, არ მომეწონა. მაგრამ ვერ ვიტყვი ამას, ვინაიდან ფეოლას ინგლისში მიჰყავს ძალიან, ძალიან ძლიერი გუნდი. მართალია, ბოლო შეხვედრებში იგი შეტევაში უკეთ გამოიყურება, ვიდრე დაცვაში, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, ბრაზილიელებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ვერავინ გაერკვეს მათი ფორვარდების ძალასა და დაცვის სისუსტეში. ისინი ბევრ რამეს მალავენ — ეს ჩემი მტკიცე რწმენაა, მაგრამ ამ ვარიანტშიც კი ბრაზილია ძალზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენს ფეხბურთელებს ძალიან მოეწონათ მარცხენა გარემარჯი ედუ, ჯერ სულ ნორჩი ფეხბურთელი. მახვილგონიერი და „მუხანათია“ გერსონი. როგორც ყოველთვის, თავის სიმაღლეზე დგას ჰელე. ერთი სიტყვით, არ მინდა მეოთხედფინალში ჩვენს მოწინააღმდეგედ ვიხილო ბრაზილიელები.

**— მაშ, თქვენ ეჭვი არ გეპარებათ, რომ სსრ კავშირის ნაკრები წარმატებით დაძლევს წინააღმდეგობებს თავის ჯგუფში?**

— დიახ. შვეციის აკლიმატიზაციამ მხოლოდ დამაჯერა ამაში.

## ბალსტადის ქორტებზე

შვეციის ამ პატარა ქალაქში გრძელდება სკანდინავიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა ერთეულთა თანრიგში გამოდიან ნ. პიეტრანჯელი (იტალია), ი.-ე. ლუნდკვისტი (შვეცია), მ. სანტანა (ესპანეთი), ნ. პილიჩი (იუგოსლავია), ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი (ორივენი — სსრ კავშირი) და სხვ. საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით განვლეს 3 წრე და მეოთხედფინალში გავიდნენ. ა. მეტრეველმა (იგი პირველ წრეში ისვენებდა) მოუგო დანიელ ი. ულრიხს — 6:2, 6:2, 6:3. შემდეგ იგი შეხვდა შვეციელ ს. დავიდსონს. თამაში დაძაბული გამოდგა. პირველი პარტია მოიგო ქართველმა ჩოგბურთელმა — 6:2, მეორე — მასპინძელმა — 6:3. მანვე გაიმარჯვა მესამე პარტიაში — 6:3. შემდეგ მეტრეველმა იმარჯვა და თავის სასარგებლოდ (6:3) დაამთავრა IV პარტია. გადამწყვეტ პარტიაში, როცა ანგარიში 1:1 იყო, დავიდსონმა ხელი დაიბინძა და თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. გამარჯვება მიეკუთვნა მეტრეველს. 3 გამარჯვება აქვს აქტივში ს. ლიხაჩოვს.

ნახევარფინალში მეტრეველი ხვდება პიეტრანჯელის, ლიხაჩოვი — სანტანას.

# ᲯᲮᲘᲠᲘ ᲙᲐᲜᲐᲕᲘᲗᲘᲡ

● **სტოკჰოლმი**, 7 ივლისი. რ. კლარკის მიერ 5.000 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდის (13:16,6) დამყარების გარდა სხვებმაც აჩვენეს კარგი შედეგები. გ. რულანტსმა (ბელგია) ოდესაში 10.000 მეტრზე რბენაში გამარჯვების შემდეგ აქ 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში იერიში მიიტანა თავისსავე მსოფლიო რეკორდზე. სტარტზე მაღალი ტემპი განაგითარა და დისტანციის ნახევარი 4 11,0-ში გაირბინა (უკეთესად, ვიდრე მსოფლიო რეკორდის დამყარებისას), მაგრამ უკანასკნელ 1.000 მეტრზე ტემპს უკლო და რეკორდიც ხელუხლებელი დარჩა. მისი შედეგი 8.27,2 მსოფლიო რეკორდს 0,8 წამით ჩამორჩება. ლ. დანეკმა ბადრო ტყორცნა 62,04 მეტრზე, ხოლო ი. ოდლოჟილმა (ორივენი — ჩეხოსლოვაკია) მოიგო 1.500 მ რბენა — 3.46,1.

● **მოსკოვი**, 7 ივლისი. დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ცურვაში ქალთა შორის. ბოლო დღეს ოქროს 6 მედალი გათამაშდა. ისინი დაისაკუთრეს: 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში ნ. ბისტროვამ — 2.20,2; 200 მ ზურგზე ცურვაში — ნ. მიხაილოვამ, რომელმაც სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 2.31,7; 400 მ კომპლექსური ცურვაში — ლ. ხაზიევამ — 5.33,2; 400 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — თ. სოსნოვამ — 4.59,0, 100 მ ბატერფლაით ცურვაში — ტ. დეევიატოვამ 1.09,4. და, ბოლოს, 200 მ ბრასის სტილით ასპარეზობაში — გ. პროზუმენშჩიკოვამ — 2.47,8.

● **პარიზი**. 7 ივლისი. ქალაქის მძლეოსანთა შეჯიბრებაში მ. ნუარომ საფრანგეთის ახალი რეკორდი დაამყარა ქალთა 400 მეტრზე რბენაში. მისი შედეგი (54,0) 0,5 წამით ჯობია ძველ მიღწევას.

● **გროსეტი** (იტალია), 7 ივლისი. აქ გაიმართა ევროპის უძლიერეს ბირთვისმკვრელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მოიგო კონტინენტის რეკორდსმენმა ვ. ვარიუმ (უნგრეთი) — 19,36. მ. იოცვიჩმა (იუგოსლავია) ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა — 18,75. III იყო ვეტერანი ი. სკობლა (ჩეხოსლოვაკია) — 18,08.

● **ლონდონი**, 7 ივლისი. ინგლისელი მოცურავეები ენერგიულად ემზადებიან კონტინენტის ჩემპიონატისთვის, რომელიც უტრეხტში (ჰოლანდია) გაიმართება, სწორედ ამ სამზადისს მიეძღვნა აქ ჩატარებული ქვეყნის პირველობა. ასპარეზობისას ლ. ლადგროვმა ინგლისის 2 რეკორდი დაამყარა ქალთა შორის ზურგზე ცურვაში. 110 იარდზე მან აჩვენა 1.09,0, ხოლო 220 იარდზე — 2.31,0.

● **სოჩი**, 7 ივლისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საბადრაკო ტურნირის XII ტურში სერგიეევმა უაღმით დაამთავრა შეხვედრა ბარცასთან (უნგრეთი), 7,5 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო ოსტატობა მოიპოვა. სპასკიმ მოუგო ფუჭსს (გდრ), ბობოცოვმა (ბულგარეთი) — ლეონს. ყაღმით დამთავრდა კორჩნოი — მატულოვიჩის (იუგოსლავია), კროგიუს — ორტეგას (კუბა), ანტოშინ — პოლუგაევსკის. ზაბარო — ვლადიმიროვისა და ბრადვარეევიჩ — ბერტოკის (ორივენი — იუგოსლავია) პარტიები. XI ტურიდან გადადებული პარტიის დამთავრებისას ბარცამ სძლია ზაბაროს. 12 ტურის შემდეგ კორჩნოის 9 ქულა აქვს, პოლუგაევსკის — 8,5, კროგიუსს — 8, ანტოშინს, მატულოვიჩს, სპასკისა და სერგიეევსკის — 7,5-7,5.

● **ლვოვი**, 7 ივლისი. მეორე საკავშირო საზაფხულო აკადემიადაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა (სხვათა შორის, ისინი იყვნენ პირველი აკადემიადან ჩემპიონებიც). II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპორტკლუბი (მოსკოვი), III — აზერბაიჯანელები. 6 დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ უკრაინელებმა გაიმარჯვეს კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ცურვაში, მოსკოველებმა — ფრენბურთსა და ჭადრაკში. საქართველოს წარმომადგენლებმა მოიგეს ასპარეზობა ჩოგბურთში (ფინალში დაამარცხეს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები).

● **ჰანოვერი**, 7 ივლისი. საბჭოთა ველოსიპედისტები აქ შეხვდნენ გფრ-ის სპორტსმენებს და 4 კმ-ზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ქალაქის ტრეკის რეკორდი დაამყარეს. საბჭოთა კვარტეტმა (ს. მოსკვინი, ა. კოლიუშევი, ლ. ეუკოლოვი, დ. ლაცისი) აჩვენა — 4.30,8 და მეტოქეებს 0,1 წამით გაუსწრო, მაგრამ მატჩი საბოლოოდ მაინც წააგო — 6:9. წინა შეხვედრა, რომელიც ზელინგენში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 7:7.

# საქართველოს ველოსიპედისტები I ადგილზე

ამას წინათ თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოსწავლე ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს 2 გუნდი გამოდიოდა.

პირველ დღეს გაიმართა ჭაბუკთა ინდივიდუალური რბოლა 25 კილომეტრზე. არანელსაყრელი ამინდის მიუხედავად (მთელი ტრასის მანძილზე ქროდა ძლიერი, გვერდითი ქარი), გამარჯვებულებმა კარგი დრო აჩვენეს. საუკეთესო შედეგი ჰქონდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონს მ. ბულბულოვს — 38.27,4. II ადგილზე გავიდა კვლავ საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ზ. კობაიშვილი, რომელმაც გამარჯვებულთან 31 წამი წააგო, ხოლო III — მისივე თანაგუნდელი ვ. სუჯაშვილი. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. საქართველო I, 2. საქართველო II (ეს გუნდი უკონკურსოდ ასპარეზობდა), 3. სომხეთი, 4. აზერბაიჯანი.

საინტერესო იყო გუნდური რბოლა 50 კმ-ზე. გაიმარჯვა საქართველოს I გუნდმა (1:11.10,0), რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: მ. ბულბულოვი, ი. მელიკოვი, ვ. პეტრინი და ვ. აბშილავა. II ადგილი ხვდათ სომხეთის ველოსიპედისტებს, ხოლო III — აზერბაიჯანელებს.

ასპარეზობა დამთავრდა 75 კილომეტრზე ჯგუფური რბოლით. ველოსიპედისტებმა სტარტიდანვე დიდი სისწრაფე განავითარეს. დისტანციის ცალკეულ მონაკვეთებზე სიჩქარე საათში 45-50 კილომეტრს უდრიდა. პირველი ადგილისთვის ბრძოლა უმთავრესად უკანასკნელ კილომეტრზე გაჩაღდა. აქ თავი ისახელა საქართველოს I გუნდის წარმომადგენელმა ი. მელიკოვმა, რომელმაც ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა — 2:02.30,0. II-III ადგილები დაიკავეთრეს სომხეთის გუნდის წევრებმა ს. ისრაელიანმა და ა. სალოიანმა.

საერთო გუნდური გამარჯვება საქართველოს ველოსიპედისტებს დარჩათ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

**ვ. სერგიაშვილი.**

# ᲓᲐᲔᲨᲕᲐ

ველი იყო 100 მეტრზე ბრასით (1.23,2), ხოლო მაქსიმოვი — 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში (1.31,7).

შემდეგ სამეულს შეუერთდა დ. კოშაძე და ამ კვარტეტმა მოიგო ესტაფეტა 4×100 მეტრზე შედეგით — 5.02,6.

სოხუმის სამედიცინო სასწავლებლის სპორტსმენმა გოგონამ ლ. ზინჩენკომ ყველას აჯობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვაში (1.23,6 და 1.38,2).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილები დაიკავეს მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ჭაბუკებმა და სოხუმის სამედიცინო სასწავლებლის გოგონებმა.

### მხოლოდ პირველ პარტიაში

თბილისის მანქანათმშენებლობისა და კოოპერაციული ტექნიკუმების ფრენბურთელ ჭაბუკთა გუნდების ფინალური შეხვედრის მხოლოდ პირველი პარტია წარიმართა დაძაბულად. დაწინაურება დიდხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო და როცა ანგარიში 14:14 გახდა, ფორტუნამ მომავალ მანქანათმშენებლებს გაუღიმა, შეხვედრის პირველი ნახევარი მათი გამარჯვებით დამთავრდა — 16:14. მათვე, ყველას გასაოცრად, ერთობ იოლად, გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს მეორე პარტიაც — 15:1. ამ ტექნიკუმის გოგონებმა არ დაალალატეს თანაგუნდელი ჭაბუკები და გაიმარჯვეს ფინალურ მატჩში თბილისის II სამედიცინო სასწავლებლის ფრენბურთელებთან — 2:0 (15:6, 15:7).

* * *

კალათბურთელთა ასპარეზობაში უძლიერესთა სახელი თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ჭაბუკებმა და თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის გოგონებმა მოიპოვეს.

### ტანმოვარჯიშე ხარ? იმსაჯე, გეთაყვა...

სპორტულ ტანვარჯიშში ასპარეზობის დაწყებას ორიოდე წუთი უკლდა. მსაჯები არ ჩანდნენ. სხვა გზა რომ აღარ იყო, უფროსმა მსაჯმა სპორტსმენ ჯგოგონებს მიმართა: „ტანმოვარჯიშე ხარ? იმსაჯე, გეთაყვა“... და აი, „არბიტრებმა“ მაგიდებთან ადგილები დაიკავეს და, რაღა თქმა უნდა, საქმეს ისე გაართვეს თავი, როგორც მათ „გამოცდილებაა“ შეეფერებოდა. ყოყმანობდნენ, მეტისმეტად განსხვავებულ შეფასებას იძლეოდნენ, ბოლოს მათ ისევ თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელი და თვით უფროსი მსაჯი დაეხმარნენ... იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის გოგონათა გუნდმა სრულიად დაუმსახურებლად დააგროვა 212 ქულა. უცნაურია, მაგრამ მომავალ ბიბლიოთეკარებს ბირთვის კვრაში მსაჯთა ბრიგადის უფროსი არბიტრი დაეხმარა. აღნიშნული გუნდის წევრი მ. გელაშვილი ბირთვს კი არ კრავდა, ისე, უბრალოდ, ისროდა. არსებული წესის თანახმად, ტექნიკურად მოუმზადებლობის გამო იგი უთუოდ უნდა მოეხსნათ შეჯიბრებიდან. მაგრამ უფროსმა მსაჯმა არათუ ჩამოართვა ასპარეზობის უფლება, 8,61 მეტრი ჩაუთვალა და გუნდს 212 ქულა დაეწერა. მართლაც რომ უცნაური მსაჯობა!

შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. მსაჯმა ჰ. ათაბეკოვმა დიდი ჯიბიანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენელი მ. მანჯგალაძე გამოიძახა, მაგრამ... მის ნაცვლად სახტომ სექტორზე გამოვიდა ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის სტუდენტი თ. სიმ-სიმე (?!). მსაჯმა უმალ მიიღო სწორი გადაწყვეტილება და, რბილად რომ ვთქვათ, ცეულუტი სპორტსმენი შეჯიბრებიდან მოხსნა. „სპარტაკის“ მძლეოსნობის ფედერაციამ კი, ჩვენი აზრით, თ. სიმ-სიმეს უღირსი საქციელი მსჯელობის საგნად უნდა აქციოს.

რამდენიმე სიტყვა ტექნიკური შედეგების შესახებ მოცურავეთა შეჯიბრების სტარტზე მხოლოდ 28 სპორტსმენი გამოვიდა. გოგონათა 3 გუნდიდან ერთმა — ბათუმის კოლექტივმა — ვერც ერთი ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო, სოხუმის სამედიცინო სასწავლებლის გოგონათა გუნდის (გამარჯვებული კოლექტივია!) 2 საუკეთესო მაჩვენებელი კი III თანრიგის ნორმატივს არ აკმაყოფილებია (?!). დიდად არც ჭაბუკები ბრწყინავდნენ. მათგან ოთხმა მეორეთანრიგოსნის, რამდენიმემ კი მესამეთანრიგოსნის შედეგს მიაღწია ეს არის და ეს. მსაჯთა კოლეგიამ წინადადება წამოაყენა: სულ ამოვიღოთ ცურვა საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადის პროგრამიდანო. ვითომ ეს გამოსავალია?

უკეთ არც მძლეოსნობაშია საქმე. მაგალითად, ბ. მოსეშვილმა (თბილისის „ინდუსტრიული ტექნიკუმი“) 110 მეტრზე თარჯრბენს 20.2 მოანდომა. რბენაა თუ ასკინკილაობა თამაში? თ. კობაიძემ (თბილისის მუსიკალური სასწავლებელი) ბადრო ტყორცნა... 20.84 მეტრზე (?!). მისმა თანაგუნდელებმა — მ. დოლიძემ და თ. თანდილაშვილმა კიდევ უფრო „გამოიჩინეს“ თავი — 800 მეტრზე რბენაში შეცაბამისად აჩვენეს 3 13,6 და 3.14,0. რაც შეეხება გოგონებს: მ. ანთიძემ (ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი) ბადრო ტყორცნა 15,80 მეტრზე, ხოლო ბირთვი კრა... 5,90 მეტრზე. ვფიქრობთ, სხვა ძალითების მოყვანა საჭირო აღარ არის.

* * *

მაშ ასე, დამთავრდა კიდევ ერთი რესპუბლიკური სპარტაკიადა. უწყებათა მიხედვით, საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების სამინისტროს ნაკრებმა კოლექტივმა. ამ გუნდის წარმომადგენლებმა გამარჯვებულთათვის ჯილდოდ დაწესებული 12 თასიდან 11 იგდეს ხელთ. II ადგილზე გავიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაკრები, III — „ცეკავშირის“ ტექნიკუმების წარმომადგენლები.

**„ლელოს“ გრიგადა.**

## მსოფლიო ჩემპიონატამდე

# ემზადებიან...

მალმე. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა — ბრაზილიელებმა ოთამთავრეს სამზადისი ევროპაში. მათ 5 თამაში მოიგეს და 1 ფრედ დაამთავრეს (შოტლანდიის ნაკრებთან — 1:1). ჩემპიონებმა გაიტანეს 24 გოლი, მაგრამ საკმაოდ მიიღეს საკუთარშიც — 11.

ბრაზილიელებს უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ შვეიცის ჩემპიონ „მალმესთან“, რომელიც დამარცხებულ იქნა ანგარიშით 3:1. მატჩის გმირი იყო პელე. მან მე-7 წუთზე გახსნა ანგარიში, 25-ე წუთზე საგოლო პოზიციაში გაიყვანა ჟაირზინიო, ხოლო 15 წუთის შემდეგ სტადიონი კვლავ აღფრთოვანებით ეგებებოდა პელეს: მან მიიღო გადაცემა დენილსონისგან, დრიბლინგით გავიდა მოწინააღმდეგის 5 მცველს შორის, მოატყუა მეკარეც და ბურთი გაგზავნა პირდაპირ ცარიელი კარის შუაგულში. მეორე ტაიმის დასაწყისში შვედების მარცხენა გარემარბმა სვანმა გაქვითა ერთი გოლი.

როგორც ეს ვ. ფეოლას ჰქონდა დაგეგმილი, ბრაზილიის ნაკრები თამაშობდა ჯერ სისტემით 3—2—5, შემდეგ 4—2—4, დაბოლოს, 4—3—3.

მსოფლიო ჩემპიონი გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: მანგა, ჯ. სანტოსი, ბელინი, ალტაირი, ენრიკე, დენილსონი, გერსონი, გარინჩა, ლიმა, პელე, ჟაირზინიო. საინტერესოა, რომ მატჩი გრძელდებოდა ზუსტად... 2 საათს. დამთავრდა რა 2 ტაიმი, მეტოქეებმა განაგრძეს თამაში. ბრაზილიელთა მოწინააღმდეგე იყო შერეული გუნდი, შედგენილი ბრაზილიელთა სათადარიგო მოთამაშეებისა და შვეიცელთაგან. ეს ორი 15-წუთიანი ტაიმი თავისებურ „საფეხბურთო გამოფენას“ წარმოადგენდა.

კოპენჰაგენი. ბოლო სპარინგ-მატჩი ჰქონდა წარსულში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს — იტალიის ნაკრებსაც. თავიანთ მოწინააღმდეგად იტალიელებმა აირჩიეს დანიის დედაქალაქის ნაკრები, სადაც გამოდიოდა ეროვნული ნაკრების 5 წევრი. იტალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0 და საბოლოო ბალახსი საფრანგეთის, ავსტრიის, ბულგარეთის, არგენტინის, მექსიკისა და დანიის გუნდებთან აიყვანეს 19:1-მდე თავიანთ სასარგებლოდ.

3 გოლის ავტორი იყო „სკუადრა აძურას“ კაპიტანი და ცენტრფორვარდი სანდრო მაცოლა. ბოლო ბურთი გაიტანა რივერამ. პირველ ტაიმში გატანილ იქნა 3 ბურთი, შესვენების შემდეგ ე. ფაბრიმ თავის გუნდს ურჩია აღარ გაეწირა თავი და შეცვალა ყველა მოთამაშე, ვისაც მცირე ტრავმა მაინც ჰქონდა მიღებული. აი, იტალიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, როზატო, სალვადორე, ფოგლი, პერანი, ლოდეტი, მარის ძალად მიმაჩნია წინასწარ ჯგუფში გამარჯვებისთვის“.

აქაური სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მათზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს იტალიის, სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდებმა. მათგან განსხვავებით მაყურებლები გააწბილეს ინგლისელებმა და არგენტინელებმა.

ასეთ ხდება

# რა არის უიღბლობა!

„მსოფლიო ჩემპიონატში რომ ყველაზე უფრო უიღბლო ფეხბურთელის ტიტული დაეწესონ, იგი რასაკვირველია, მერგებოდა მე“, — განაცხადა ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ამარილდომ, რომელმაც ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ საწვრთნელ მატჩში მიიღო ტრავმა. რაც შეეხება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა მწვრთნელს ვ. ფეოლას, მან ამასთან დაკავშირებით ასეთი ოპტიმისტური განცხადება გააკეთა. „მას შემდეგ, რაც ამარილდო იტალიაში თამაშობს, პელეს და მას რიგიანად ვერ ესმით ერთმანეთისა. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს კიდევ ერთი ტალანტი — 16 წლის ედუ და შეიძლება ამარილდოს ტრავმამ დებიუტანტს საშუალება მისცეს სრული შესაძლებლობით გამოავლინოს თავისი ნიჭი. ვინ იცის, იქნებ უკეთესიც აა...“

მაგრამ ფრანგულ პრესას თავისი ნაკრების მეკარე ეონი კიდევ უფრო უიღბლოდ მიაჩნია, ვ. დრე ამარილდო. ამ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო მატჩში „ნანტის“ მეკარე ეონს უნდოდა მიეღოცა თავისი გუნდის ცენტრფორვარდ გონდუსთვის მორიგი გოლის გატანა, მაგრამ ამ მომენტში გადაუბრუნდა ფეხი და დაიგლიჯა მყესები. მართალია, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მეკარეს უფასო მგზავრობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში, მაგრამ თამაში მას აღარ შეუძლია.

და კიდევ ერთი უიღბლო ფეხბურთელი — იტალიელთა მეკარე ნეგრი. იგი თავის გუნდში ყველაზე წინდახედული და ფრთხილ სპორტსმენად ითვლებოდა. ნეგრი ყოველ მატჩის წინ ეუბნებოდა თავის ამხანაგებს: „ყველაზე მთავარია მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე არ მიიღოთ ტრავმა. ითამაშეთ ფრთხილად, ზედმეტ რისკს ნუ გასწევთ“. მეკარე თვითონაც ცდილობდა ფრთხილად ეთამაშა, მაგრამ ერთ-ერთ მატჩში მაინც მიიღო მენისკის სერიოზული დაზიანება.

# უმაღური ფეხბურთელები

ინგლისის სპორტულმა პრესამ ყველაზე უმადურ მოთამაშედ მონათლა „ევერტონის“ ცნობილი ფეხბურთელი ბ. ლეიბონი. იმ დროს, როცა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელები ყოველნაირად ცდილობდნენ მოხვედრილიყვნენ ნაკრების კანდიდატთა შორის, ბ. ლეიბონი პირიქით მოიქცა. ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ რამდენიმე კვირის წინ დაასახელა 29 „კანდიდატი“, რომელთა შორის ეს ფეხბურთელიც იყო. ყველს მიაჩნდა, რომ ლეიბონს დიდი პატივი სცეს, იგი კი მიკიდა მწვრთნელთან და სრულიად ოფიციალურად განუცხადა, რომ არც წვრთნას გაიკლის და არც ჩემპიონატში ამირებს მონაწილეობის მიღებას.

რაშია საქმე? თურმე, ლეიბონი დიდი ხანია აპირებს ცოლის თხოვას და მომავალი მეუღლის კატეგორიული მოთხოვნაა ქორწინება მაინცდამაინც ივლისში შედგეს. „მე მინდა დავრწმუნდე, — განაცხადა მან, — რომ გიყვარვარ ისე, რომ ჩემი გულისთვის დათმობ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას“.

მეორე უმადური ფეხბურთელი აღმოჩნდა თვით ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი ბ. მური, რომელიც „ვესტ-ჰემ იუნაიტედში“ გამოდის. გაცხარებული სამზადისის დროს ბ. მური წაეჩხუბა თავისი კლუბის ადმინისტრაციას და ახალი კლუბის ძიებას შეუდგა. „სანამ არ ვიპოვი ახალ ადგილს, მსოფლიო ჩემპიონატზე ფიქრიც კი მეჯერს“. — თქვა მან.

აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ რამსეის არ მიაჩნია მური კარგ ფორმაში და შეიძლება არც დააყენოს ძირითად შემადგენლობაში. „სამწუხაროდ, — განაცხადა მწვრთნელმა, — უნდა ვაღიაროთ, რომ ძნელია მოძებნო ისეთი კლასის მოთამაშე, როგორიცაა მური“. და მაინც ა. რამსეიმ თავის ნაკრებში შეიყვანა ბ. მური.

# ეი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

ჯ. რივერა (იტალია)

ლ. არტიმე (არგენტინა)

ჯ. კონელი (ინგლისი)

# იუკიო ენდო და სხვები

*დადგინდა ტოკიოს ოლიმპიადაში გამარჯვებული — იაპონიის ტანმოვარჯიშეთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. უძლიერესთა შერჩევა იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაციის თასისთვის გამართულ შეჯიბრებაში ხდებოდა. ვაჟთა შორის ეს ჯილდო მოიგო ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა იუკიო ენდომ, რომელმაც სავალდებულო და თავისუფალ ვარჯიშებში 115,25 ქულა დააგროვა. ქალებში ყველას აჯობა ტაკი სიბუიამ — 75,65.*

*ენდოს გარდა ვაჟთა ნაკრებში შევიდნენ: ნაკაიამა — 114,25 ქულა, კატო — 114,26, ხაიატა — 114,15, ცურუმი — 114,05, მაცუდა — 113,95 და მიცუკური (სათადარიგო) — 113,55.*

*იაპონიის პრესამ აღნიშნა ენდოს დიდი ოსტატობა. მსაჯებმა მისი ვარჯიში ექვსიდან ოთხ სახეობაში 9,7 ქულით შეაფასეს. განსაკუთრებით გასაოცარი იყო ენდოს „სპირალური ნახტომი“ („ულტრა-სის“ კლასის ელემენტი) ღერძზე.*

*ერთგვარი სიურპრიზი იყო იაპონელი ვეტერანი ტანმოვარჯიშის — მიცუკურის VII ადგილი. ამით მან მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მიიღო. ნაკრებში ვერ მოხვდა ვატანაბე, რომელიც სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ II ადგილზე იყო.*

*მწვრთნელებსა და პრესის მუშაკებს მიაჩნიათ, რომ ნაკაიამასა და კატოს წარმატება „ანაზღაურებს იმ ნაკლს, რაც ნაკრებიდან სახელგანთქმული ონოს წასვლამ გამოიწვია“. მათი აზრით, იაპონელი ტანმოვარჯიშეები ჯერ კიდევ არ არიან სათანადო სპორტულ ფორმაში საიმისოდ, რომ თავიანთ № 1 მეტოქეს — სსრ კავშირის ნაკრებს შეეჭიდონ.*

*ქალთაგან სიბუიას გარდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ: იკედა, მიცუკური, ფურუიავა, იკენაგა, კადორი და ხარა (სათადარიგო). როცა აფასებენ იაპონიის ქალთა ნაკრების პერსპექტივებს დორტმუნდში, სპეციალისტები ამბობენ: გუნდს დიდი ჯაფა დაადგება, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზე მოპოვებული III ადგილი შეინარჩუნოს.*

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲝᲑᲔᲜ ᲗᲒᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲛᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲙᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲚᲝᲛᲘ — ᲕᲘᲚᲘ.

▲ **ლონდონი.** აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მსოფლიო ჩემპიონობაზე მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების მოპამედ ალისა და ინგლისელი ორან ლონდონის მატჩის შესახებ. ორთაბრძოლა შედგება 6 აგვისტოს ინგლისის დედაქალაქში.

▲ **სეული.** სამხრეთკორეელმა კიმ კი სოომ ქვემსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით მოუგო იტალიელ ბენვენუტის.

▲ **ნიუ-იორკი.** დამთავრდა აშშ-ის ვაჟთა ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ასპარეზობას სსრ კავშირთან და პოლონეთთან მატჩისთვის ქვეყნის ნაკრების კანდიდატები უნდა გამოვლინა. ზოგიერთი შედეგის შესახებ ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, მეტად დაძაბული იყო ბრძოლა სხვა სახეობებში. 100 იარდზე რბენაში გრინმა, ჰაინსმა, ბიეზბიმ და ანდერსენმა აჩვენეს ერთნაირი შედეგი — 9,4, ხოლო 220 იარდზე — ჰაინსმა, პალმერმა და ჯონსმა — 20,5. 880 იარდი მოიგო ფარელმა — 1.47,7, 1 მილზე რბენა — რუნმა — 3.58,6, 3 მილზე — იონგმა—13.27,4, 3.000 მ დაბრკოლებებით — ტრეინორმა — 8.40,6, სამხტომი — უოლკერმა — 16,36. ფეხის დაშავების გამო ნაკრებში არ შეიყვანეს 200 მ რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი ტ. სმითი.

▲ **ციურიხი.** აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მძლეოსნობაში, რომელშიც აშშ-ის ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. 110 მ თარჯრბენი ამერიკის ჩემპიონმა დევენპორტმა მოიგო — 13,4, ხოლო 200 მ თარჯრბენი — იტალიელმა ოტოზმა — 22,9 (იტალიის ახალი რეკორდი). ქალთა 100 მეტრზე რბენაში კირშენშტეინმა (პოლონეთი) 11,4 აჩვენა.

▲ **ბერლინი.** აქ გაიმართა გდრ-ის ხუთბედელთა საკლასიფიკაციო შეჯიბრება, რომელსაც უნდა გამოევლინა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენები. ესენი არიან: ოპიცი — 4929, ლიუდერიცი — 4900, კუჩნე — 4898, გროსე — 4835, გრევსი — 4774, ბონი — 4718, ხინცე — 4697 და მანიშეფი — 4649.

# ჭეკ კრამერის აზრით

ეიმბლდონის წლეულანდელმა ტურნირმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ ჩოგბურთელთა მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატზე დასასწრებად ოკეანისგაღმიდან ჩამოვიდა პროფესიული ჩოგბურთის „ვარსკვლავთა“ პატრონი ჯეკ კრამერი. ის კრამერი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართა საჩვენებელი გამოსვლები მსოფლიოში სახელგანთქმული ჩოგბურთელების მონაწილეობით. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტებმა ე. ბირუნმა და ვ. პავლოვმა ესაუბრეს კრამერის ინგლისში ყოფნით და მას ორი კითხვა მისცეს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

**— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე უიმბლდონის ასპარეზობამ?**

— მე ვნახე მაღალი კლასის ჩოგბურთი. ჩემპიონატის მონაწილეები ახლა გაცილებით უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე ამ ბოლო 3-4 წლის მანძილზე.

**— თქვენი აზრით, რამ შეუწყო ხელი ამ პროგრესს?**

— უძლიერესმა მოყვარულმა სპორტსმენებმა უარი თქვეს პროფესიონალებში გადასვლაზე და ამის შედეგად სამოყვარულო ჩოგბურთმა შეინარჩუნა საუკეთესო მოთამაშეები და სწრაფად იწყო წინსვლა. უიმბლდონის ტურნირში გამოჩნდნენ ნიჭიერი სპორტსმენები. თქვენი მეტრეველი, მართალია, კარგად ვერ გამოვიდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ მალე სამოყვარულო ჩოგბურთს მისი სახით დიდი მოთამაშე ეყოლება.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06004